

**ლითონის კონსტრუქციის, ლითონის მილის, ლითონის დამჭიმის, ჯაჭვის, კუთხოვანა ლითონკონსტრუქციის
გაყიდვა და გატანა ნავსადგურის საკონტეინერო ტერიტორიიდან**

(პროცესის აღწერა)

№	
1	<p align="center">პროცესის აღწერა</p> <p>კონტრაქტორის მიერ ლითონის კონსტრუქციის, ლითონის მილის (შესაძლოა იყოს მოთუთიებული), ლითონის დამჭიმის, ჯაჭვის, კუთხოვანა ლითონკონსტრუქციის გატანა საქართველოს კანონმდებლობის, ნავსადგურის შინაგანაწესის და უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვით.</p>
2	<p align="center">პროცედურული დეტალები/მხარეთა ვალდებულებები</p> <ul style="list-style-type: none"> • ფოთის საზღვაო ნავსადგურის მიერ კონტრაქტორს მიეწოდება ინფორმაცია ლითონის კონსტრუქციის, ლითონის მილის, ლითონის მოთუთიებული მილი, ლითონის დამჭიმის, ჯაჭვის, კუთხოვანა ლითონკონსტრუქციის მოცულობის /ადგილმდებარეობის შესახებ, რის საფუძველზეც კონტრაქტორი ვალდებულია უზრუნველყოს სათანადო რაოდენობის სატრანსპორტო საშუალებების მობილიზება 24 საათის ინტერვალში. ასევე მძღოლების და ავტომანქანების მონაცემები დროულად უნდა მიეწოდოს მუდმივი განვითარების დეპარტამენტის წარმომადგენლებს, რათა შესაბამისი დოკუმენტაცია მომზადდეს გონივრულ ვადებში. • კონტრაქტორი ფოთის საზღვაო ნავსადგურის უფლებამოსილ პირთან, საბაჟო დეპარტამენტის წარმომადგენელსა და სურვეერთან ერთად ესწრება დატვირთვის/აწონვის პროცესს. • ტვირთის გატანის დღეს სურვეირის მიერ მოწოდებული აქტის საფუძველზე მუდმივი განვითარების დეპარტამენტის წარმომადგენელი შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებისთანავე იწყებს განბაჟების პროცესს. პროცესის წარმატებით დასრულების შემდეგ კონტრაქტორს გადაეცემა დეკლარაციის ერთი ეგზემპლარი, რის საფუძველზეც უფლება ეძლევა გაიტანოს კუთვნილი საქონელი. მონაცემები მანქანების გასვლამდე აისახება ასევე შემოსავლების სამსახურის ონლაინ პლათფორმაზე (rs.ge)